ანტიკურ საბერძნეთში შეიქმნა მსოფლიო მწერლობის შედევრები. ბერძნულმა ლიტერატურამ განვლო აღმასვლებისა და დაქვეითების, ჟანრთა ფორმირებისა და ტრანსფორმაციის მრავალსაუკუნოვანი გზა.

რა სახე მიიღო ოცდაათსაუკუნოვანმა ბერძნულმა ლიტერატურამ თანამედროვე ეპოქაში, განვითარების რა გზას დაადგა ახალი ბერძნული მწერლობა, რა შემოინახა ანტიკურობიდან და რა სიახლეები შესთავაზა მკითხველს - „ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში“ პასუხებს გასცემს ამ და კიდევ მრავალ სხვა შეკითხვას.

პროგრამა ლოგოსი

ISBN 978-9941-98-57-4-4

ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში

ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

●

პროგრამა „ლოგოსი“

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

2024
თბილისი

ΔΟΚΙΜΙΑ ΓΙΑ ΤΗΝ ΝΕΟΕΛΛΗΝΙΚΗ ΛΟΓΟΤΕΧΝΙΑ

Επιμέλεια: Μήδεια Αμπουλασβίλι, Σοφία Σιαμανίδου, Άνι Τσικοβάνι

Δεύτερη, συμπληρωμένη έκδοση

ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში

რედაქტორები: მედეა აბულაშვილი, სოფიო შამანიდი
ანი ჩიქოვანი

მეორე, შევსებული გამოცემა

წინამდებარე წიგნი გამოიცა კოსტას და ელენი ურანისების ფონდის ხელშეწყობით
Το βιβλίο εκδόθηκε με την συμβολή του Ιδρύματος Κώστα και Ελένης Ουράνη

წიგნი მომზადდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის და საქართველოს ნეოგრეცისტთა ასოციაციის (ევროპის ნეოგრეცისტთა ასოციაციის წევრი) თანამშრომლობით
Το βιβλίο είναι προϊόν συνεργασίας του Ινστιτούτου Κλασικών, Βυζαντινών και Νεοελληνικών Σπουδών του Κ.Π.Τ. και της Γεωργιανής Εταιρίας Νεοελληνικών Σπουδών (μέλος της Ευρωπαϊκής Εταιρίας Νεοελληνικών Σπουδών)

ყდის დიზაინი: **ქეთევან ცინცაძე**

Εξώφυλλο: **Κετεβάν Τσιντσάτζε**

დაკაბადონება: **ირინე სტროგანოვა**

ISBN 978-9941-98-57-4-4

პროგრამა „ლოგოსი“
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13, თბილისი 0179
ტელ. 225-02-58, ფაქსი 222-11-81
ელ. ფოსტა: logos@greekstudies-tsu.ge

წინამდებარე კრებულის მსგავს გამოცემებს, როგორც წესი, მიძღვნაც აკადემიური ახლავს ხოლმე. ჩვენს შემთხვევაში აკადემიურ წონასწორობას ტკივილმა და მონატრებამ სძლია.

სხვადასხვა თაობის ქართველი ნეოგრეცისტები – მეგობრები, კოლეგები, სტუდენტები – ჩვენი ერთობლივი ნაშრომის ყველა გვერდს, აბზაცს, ხაზს, აზრს, ფიქრს თუ ემოციას

ვუძღვნით **მაკა ქამუშაძეს**

– გამორჩეულ ქართველ ნეოელინისტს, რომელსაც ჩვენთან ერთად ბევრი უნდა ეთქვა თავისი საოცარი ენერგიითა თუ ენერგეტიკით, ნიჭითა და ცოდნით, კვლევებითა და ნაშრომებით... ხანმოკლე, მაგრამ ღირსეული ცხოვრებით კიდევ უფრო მეტი გვითხრა და გვასწავლა.

წელს 50 წლის გახდებოდა...

სარჩევი

წინასიტყვაობა 9

„დიგენის აკრიტასი“, *ელისო ელიზბარაშვილი* 12

კრეტული რენესანსი, *სოფიო შამანიდი* 22

ბერძნული ხალხური სიმღერები, *მედეა აბულაშვილი* 45

ბერძნული განმანათლებლობა, *სვეტლანა ბერიკაშვილი, სოფიო შამანიდი* 59

იანის მაკრიანისი – სახალხო მუზა, *თამარ ბაკურაძე* 72

ბერძნული რომანტიზმი, *თეა გამრეკელი, ქეთევან ცინცაძე* 80

დიონისიოს სოლომოსი, *თეა გამრეკელი* 95

ყოფითი ჟანრის მოთხრობა, *ეკატერინე ლორთქიფანიძე, მედეა აბულაშვილი* 105

კოსტის პალამასი და 80-იანელთა თაობა, *მაკა ქამუშაძე* 141

კონსტანტინოს კავაფისი, *თეა გამრეკელი* 156

ანგელოს სიკელიანოსი, *სალომე ჯაფარიძე* 173

ნიკოს კაზანძაკისი, *ზურაბ ვაჩეიშვილი* 185

ნეორომანტიზმისა და ნეოსიმბოლიზმის ათენური სკოლა, *მაია კაკაშვილი* 207

კოსტას კარიოტაკისი, *მაია კაკაშვილი, ქეთევან ცინცაძე* 228

გიორგოს სეფერისი, *სოფიო შამანიდი* 240

1930-იანი წლების პროზა, *ანი ჩიქოვანი, მედეა მეტრეველი* 250

იანის რიცოსი, *ანნა ბერიშვილი, სოფიო შამანიდი* 306

ბერძნული სიურეალიზმი, *მაკა ქამუშაძე, სოფიო შამანიდი* 312

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბერძნული პროზა,
თეა გაფრინდაშვილი 343

კოსტას ტახცისი, *ანინა გოგოხია* 361

მელპო აქსიოტი, *თამარ მღებრიშვილი* 366

რეა ღალანაკი, *სალომე გვენცაძე* 373

კოსტას მონტისი, *ნანა ტოხვაძე* 385

თანამედროვე ბერძნული მოთხრობა, *ნინო დვალიძე* 392

დიმიტრის ნოლასი, *ანი ჩიქოვანი* 399

1980-1990 წლების ბერძნული პოეზია, *ევრიპიდის ღარანტუდისი* 415

ქალის ხმა ახალბერძნულ პოეზიაში, *მედეა აბულაშვილი* 424

შესავალი ახალბერძნულ დრამატურგიაში, *გეორგია დიმოპულუ* 438

იაკოვოს კამბანელისი, *ქეთევან ცინცაძე, სოფიო შამანიდი* 447

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში. წიგნის შედგენისას მისმა ავტორებმა ბევრი იფიქრეს, თუ რა ეპოქიდან უნდა დაეწყოთ ახალი ბერძნული ლიტერატურის განხილვა. საქმე ისაა, რომ დღემდე ლიტერატურათმცოდნეობაში არ არის აზრთა ერთიანობა იმაზე, თუ რა ეპოქიდან ემიჯნება ახალი ბერძნული ბიზანტიურ ლიტერატურას და როდიდან იწყებს მისგან დამოუკიდებლად, ავტონომიურად განვითარებას. თუკი ევროპული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტებისთვის ცნებას „ახალი“ სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს და იგი გულისხმობს ლიტერატურას, რომელიც XIX საუკუნიდან იწყება და აღწევს XIX საუკუნის მიწურულამდე ან XX საუკუნის დასაბამამდე, ბერძნული ლიტერატურის შემთხვევაში ამ ტერმინს რამდენადმე განსხვავებული დატვირთვა ენიჭება.

ბერძნული ლიტერატურის ისტორია მოიცავს ძალზე დიდ მონაკვეთს ჰომეროსიდან თანამედროვე მწერლობამდე. აქ ტრადიციულად სამ ძირითად ეტაპს გამოჰყოფენ: ანტიკურს, ბიზანტიურსა და ახალ ბერძნულს. თუკი ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურების განსასხვავებლად მეცნიერებს მეტ-ნაკლებად მყარი არგუმენტები გააჩნიათ, რომლებიც ძირითადად იდეოლოგიურ საფუძველს ეფუძნება, ბევრად უფრო რთულად არის საქმე, როდესაც გვინდა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ბიზანტიური ლიტერატურის უკანასკნელი საუკუნეების და ახალი ბერძნული ლიტერატურის პირველი საუკუნეების ძეგლები, კერძოდ კი განვსაზღვროთ, საიდან იწყება ახალი ბერძნული ლიტერატურა. სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურის საწყისების მოწყვეტა ბიზანტიური ეპოქიდან ყოვლად შეუძლებელია, ხოლო იმის დადგენა, თუ რა უნდა მივიჩნიოთ საკუთრივ ახალი ბერძნული ლიტერატურისათვის დამახასიათებლად და რა – ბიზანტიურისთვის, ერთობ საკამათოა. საკმარისია თვალი გადავავლოთ ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებს, რომ დავრწმუნდებით, თუ რაოდენ სირთულეს წარმოადგენს ახალი ბერძნული ლიტერატურის პერიოდიზაცია. მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ პირველი ძეგლები ახალი ბერძნული ლიტერატურისა უკვე X-XI საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში დასტურდება. ზოგნი ამ

თარიღს უკავშირებენ ბიზანტიის იმპერიის დაცემის წელს. მკვლევართა მცირე ჯგუფი თვლის, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურა, ისე როგორც სხვა ევროპული ლიტერატურები, XIX საუკუნეში, საბერძნეთის მიერ თავისუფლების მოპოვების შემდგომ იწყება.

მკვლევარნი, რომელნიც იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურა უკვე ბიზანტიის ფარგლებში, X-XI საუკუნეებში ჩამოყალიბდა, ამ ლიტერატურის გამოყოფის უმთავრეს კრიტერიუმად ასახელებენ ლიტერატურაში ახალი ბერძნული ენის დამკვიდრებას, ძველი პროსოდიის კანონების უგულებელყოფას და სილაბურ ლექსზე გადასვლას, გამომსახველობითი ხერხების თავისებურებას, თემატურ განახლებას და ეროვნული, ბერძნული თვითშეგნების წინა პლანზე წამოწევას.

ეს არგუმენტები არ არის საყოველთაოდ გაზიარებული და მკვლევართა ნაწილი ყოველივე ამას მიიჩნევს სრულიად ორგანულ მოვლენად ბიზანტიური ლიტერატურისათვის. თუმცა ჩვენ მაინც ამ მეცნიერთა მოსაზრებას გავითვალისწინებთ და ჩვენ ნარკვევებს იმ ტექსტით დავიწყებთ, რომელსაც ნეოგრეცისტები ახალი ბერძნული ლიტერატურის პირველ ძეგლად მიიჩნევენ – ეპოსს დიგენის აკრიტასზე.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო წიგნის სტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში გამოსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოები ხშირად ჟანრების განვითარების პრინციპზეა აგებული, ჩვენ მაინც ტრადიციულ მეთოდს მივანიჭეთ უპირატესობა და სახელმძღვანელოს აგებისას გამოვიყენეთ ქრონოლოგიური პრინციპი. შევეცადეთ სრულად მოგვეცვა ახალი ბერძნული ლიტერატურა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელი აღმოჩნდა მკითხველისთვის ყველა მწერლისა თუ პოეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამ ხარვეზის გამოსწორება შემდეგ გამოცემებში იქნება შესაძლებელი. ყოველ თავს ერთვის სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და ძირითადი ნაწარმოებების ნუსხა, რომელიც გაუადვილებს სტუდენტებს ამა თუ იმ ავტორზე მასალის მოძიებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში. ნარკვევების ავტორები არიან ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრის თანამშრომლები და კურსდამთავრებულები. ავტორთა ჯგუფი დიდ მადლობას უხდის ევრიპიდის ღა-

რანტუდისს, ათენის უნივერსიტეტის პროფესორს და გეორგია დიმოპულუს, პატრის უნივერსიტეტის მკვლევარს, რომელთაც ასევე მიიღეს მონაწილეობა სახელმძღვანელოს შედგენაში.

სოფიო შამანიდი

ლიტერატურის ისტორიები:*

პოლიტისი ლ., *ახალი ბერძნული ლიტერატურის მოკლე ისტორია*, ბიბლიოგრაფია, დანართი, ბერძნულიდან თარგმნა სოფიო შამანიდმა, თბილისი, 1999.

Βαλέτας Γ., *Επίτομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Αθήνα, 1966;

Βουτιερίδης Ηλ. Π., *Σύντομη ιστορία της νέας ελληνικής λογοτεχνίας (1000-1930)*, 3η έκδοση με συμπλήρωμα Δ. Γιάκου (1931-1976), Αθήνα, 1976;

Δημαράς Κ. Θ., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας (από τις πρώτες ρίζες ως την εποχή μας),* Αθήνα, 1975;

Καλαματιανός Γ.Ν., *Σύντομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας,* Βιβλιοπωλείον της Εστίας, Αθήνα, 1980;

Μητσάκης Κ., *Εισαγωγή στη νέα ελληνική λογοτεχνία: πρωτονεοελληνικοί χρόνοι,* Καρδαμίτσας, Αθήνα, 1989;

Μαστροδημήτρης Π.Δ., *Ανάλεκτα νεοελληνικής φιλολογίας,* Νεφέλη, Αθήνα, 1995

Μαστροδημήτρης Π.Δ., *Η νεοελληνική σύνθεση. Θέματα και κατευθύνσεις της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Νεφέλη, Αθήνα, 1999;

Μαστροδημήτρης Π.Δ., *Προοπτικές και προσεγγίσεις. Μελέτες νεοελληνικής φιλολογίας,* Νεφέλη, Αθήνα, 1991;

Μαστροδημήτρης Π.Δ., *Η παρουσία των κειμένων. Ερμηνευτικές και ιστορικές αναγνώσεις έργων της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Καστανιώτης, Αθήνα, 2002;

Πολίτης Α., *Εγχειρίδιο του Νεοελληνιστή. Βιβλιογραφίες, λεξικά, εγχειρίδια, κατάλογοι, ευρετήρια, χρονολόγια κ.ά.,* Πανεπιστημιακές Εκδόσεις Κρήτης, Ηράκλειο, 2002;

Πολίτης Λ., *Συνοπτική Ιστορία της νέας ελληνικής λογοτεχνίας.* Βιβλιογραφία, Επίμετρο, Θεσσαλονίκη, 1977;

Πολίτης Λ., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας,* Μορφωτικό Ίδρυμα Εθνικής Τραπέζης, Αθήνα, 1985;

Τσακόνας Δ., *Επίτομη ιστορία της Νεοελληνικής λογοτεχνίας,* Αθήνα, 1999;

Beaton R., *Εισαγωγή στη νεότερη ελληνική λογοτεχνία*, μτφρ.: Ε. Ζούργου – Μ. Σπανάκη, Νεφέλη, Αθήνα, 1996;

Vitti M., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας,* Οδυσσέας, Αθήνα, 1978.

* ბიბლიოგრაფია გადმოტანილია ბერძნული ვებ-გვერდიდან: www.philology.gr.

სოფიო შამანიდი

კრეტული რენესანსი

ბიზანტიის დაქვეითების შემდეგ ბერძნულ კულტურას თვითგამოხატვის ექსტრემალური პირობები შეექმნა. საბერძნეთი იქცა თურქეთის იმპერიის ნაწილად, რამაც ქვეყნის სულიერი ცხოვრება ფაქტობრივ უძრაობამდე მიიყვანა. ამ ვითარებაში საოცრად კონტრასტულად გამოიყურება ის პროცესები, რომლებიც კუნძულ კრეტის კულტურულ ცხოვრებაში ხდება და რომლებიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, თუ რამდენს ნიშნავდა ბერძნული კულტურის განვითარებისათვის თავისუფლება. მაშინ, როდესაც თურქების მიერ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ ბერძნულ კულტურაში დიდი დეკადანსის ეპოქა დაიწყო, კუნძულ კრეტაზე საოცარი აღმავლობა დასტურდება. ამ ეპოქამ ნათლად წარმოაჩინა, თუ რას ნიშნავდა ელინთა სულიერი განვითარებისათვის თავისუფლება, თუ რამდენად ორგანული იყო მათი კავშირი ანტიკური ელინური მოდელის საფუძველზე აღმოცენებულ ევროპულ ცივილიზაციასთან და რამდენად იზღუდებოდა ბერძნული გენია, როდესაც საბერძნეთი აზიელ დამპყრობელთა ხელში აღმოჩნდებოდა.

ვიდრე უშუალოდ ლიტერატურატაში მიმდინარე პროცესებზე ვიმსჯელებდეთ, თვალი გადავავლოთ იმ ისტორიულ რეალობას, რომელიც კუნძულზე ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ფიქსირდებოდა.

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს კრეტა წილად ერგო ბონიფაციუს მონფერას, რომელმაც მიჰყიდა კუნძული ვენეციელებს და იგი მათ ბატონობაში იმყოფებოდა 1669 წლამდე, სანამ თურქების მფლობელობაში გადავიდოდა.

პირველი ორი საუკუნის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობდა განთავისუფლებულიყო ვენეციელების უღელისაგან. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა არაერთ აჯანყებას, რომელსაც, ძირითადად, კრეტის არისტოკრატია ედგა სათავეში. მაგრამ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ იწყება კრეტელებისა და ვენეციელების მშვიდობიანი თანაარსებობის ხანა, თუმცა კრეტული არისტოკრატიის გარკვეული ნაწილი მაინც განაგრძობდა დამპყრობლებთან დაპირისპირებას. მას შემდეგ, რაც გაძლიერდა თურქების აგრესია კრეტის წინააღმდეგ, ვენეციამ გაამაგრა თავისი პოზიციები კუნძულზე და თურ-

ქების არაეთრი შემოტევა მოიგერია. 1537-41 წლებში, როდესაც თურქულ ფლოტს ხაირედინ ბარბაროსა ედგა სათავეში, კრეტამ დიდი დანაკარგები განიცადა. კიკლადების დაპყრობის შემდეგ ხაირედინ ბარბაროსამ შესთავაზა ხანიის მმართველს გადაეცა მისთვის ქალაქი და ეცნო მისი ხელისუფლება. მაშინ ვენეციელები იძულებულნი იყვნენ გაეთავისუფლებინათ პატიმრები და იძულებითი წესით მომუშავენი, რათა ისინი იარაღით ხელში შებრძოლებოდნენ თურქებს. ვენეციელებს მხარში ამოუდგა კრეტის არისტოკრატიაც და, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ღალატს კრეტის ზოგიერთი მდიდარი ოჯახების მხრიდან, მათ მაინც შესძლეს ბარბაროსას უკუქცევა და შეინარჩუნეს კუნძული 1645 წლამდე ანუ „დიდი ომის“ დაწყებამდე, რომელიც 1669 წელს თურქების მიერ კრეტის დაპყრობით დასრულდა.

შეიძლება ითქვას, რომ ვენეციელების ბატონობის პერიოდში კრეტა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ გაუწყვეტია კავშირი ბერძნულ სამყაროსთან, საკმაოდ გამოკვეთილად მოექცა ევროპის, კერძოდ კი იტალიის კულტურის გავლენის სფეროში. სწორედ ამიტომ ის, რაც ხდება კუნძულ კრეტაზე ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე და მას შემდეგ, ვიდრე მის ოკუპაციას თურქები მოახდენდნენ 1669 წელს, გვაძლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ სპეციფიკურ მიმართულებაზე კრეტული კულტურის განვითარებაში. ვენეციის მფლობელობაში ყოფნის პერიოდი შეგვიძლია დავყოთ ორ ეტაპად: 1) ვენეციელების კუნძულზე შემოსვლიდან კონსტანტინოპოლის დაცემამდე (1204-1453 წწ.), 2) კონსტანტინოპოლის დაცემიდან თურქების მიერ კუნძულის დაპყრობამდე (1453-1669 წწ.).

თუკი კონსტანტინოპოლის დაცემამდე ბიზანტიას არ ჰქონდა დაკარგული კრეტული კულტურისათვის მძლავრი იმპულსების მიცემის ძალა, მისი დაცემის შემდგომ კრეტას ბევრ სფეროში თავად უხდებოდა გზის გაკვლევა სხვა ელინურენოვანი ტომებით დასახლებულ რეგიონებთან განსხვავებით, რომლებიც თურქეთის ბატონობამ აშკარად დაქვეითების გზით წაიყვანა. ბერძნული სამყარო გაიყო, ერთი მხრივ, ევროპაზე ორიენტირებულ კრეტად, მეორე მხრივ, კი თურქების მიერ დაპყრობილ საბერძნეთად. საკმარისია მათი შედარება ერთმანეთთან კულტურის სფეროში, რომ აშკარა გახდება ის, თუ რა როლი ითამაშა კრეტამ ელინური სულის შენარჩუნებაში და ბერძნული კულტურის განვითარებაში ბერძნებისათვის ამ ყველაზე მძიმე პერიოდის განმავლობაში. იმ დროს, როდესაც მთელი დანარჩენი საბერძნეთის ცხოვ-

რებაში აშკარად დაქვეითების წლები დაიწყო, კუნძულ კრეტის კულ-ტურაში რენესანსს ვაფიქსირებთ. როგორ ფორმირდებოდა ეს რენე-სანსი და რა ძირითადი ეტაპები გაიარა მან კუნძულ კრეტაზე?

უპირველეს ყოვლისა ყურადღება შევაჩეროთ ძირითად სტიმულებ-ზე, რომელთაც ბიძგი მისცეს კრეტულ რენესანსს: თავდაპირველად შევე-ხოთ იმ სოციალურ და კულტურულ ფონს, რომელიც შეიქმნა კრეტაზე ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში.

ზემოთ ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ, თუ რა ისტორიული ვითარება იყო ვენეციელთა ბატონობის დროს კრეტაზე. მიუხედავად შიდა არეულო-ბისა და თურქების შეუწყვეტელი აგრესიისა, შეიძლება ითქვას, რომ XVI-XVII საუკუნეების კრეტის საზოგადოება საკმაოდ განვითარებული იყო. ისევე, როგორც მთელ ევროპაში, აქაც ფეოდალური სისტემა დეგრადაციას განიცდიდა. კუნძულზე ჩამოყალიბდა საზოგადოება, რომელიც ოთხ კლასს თუ ფენას აერთიანებდა: ე.წ. ვენეციელი თავა-დები (Nobili Veneti), კრეტელი თავადები (Nobili Cretensi), ქალაქელები (cittadini) და ხალხი (plebe). ეს მოსახლეობა ცხოვრობდა კრეტის ოთხ მთავარ ქალაქში: ხანდაკაში (ირაკლიონში), ხანიაში, რეთიმნოში და სიტიაში. ვენეციელი თავადების ხელში იყო მიწების უდიდესი ნაწილი და ისინი იყვნენ ძირითადი მწარმოებლები სოფლის მეურნეობის პროდუქციისა. კრეტელი თავადებიც ფლობდნენ მიწებს ან ვაჭრობას მისდევდნენ. ქალაქელები იყვნენ ძირითადად ვაჭრები ან წვრილი მე-წარმეები, ხოლო ხალხი – მეზღვაურები ან მუშები. საზოგადოების ბო-ლო ორი ფენის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ ბერძნები. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები ამ შემთხვევაში დაპყრობილ ხალხად ითვლებოდა, ისინი კუნძულის ცხოვრებაში დიდი უფლებებით სარ-გებლობდნენ.

XVI საუკუნის ერთ-ერთი ინგლისური დოკუმენტი გვამცნობს, რომ ინგლისში განთქმული კრეტული ღვინო შემოჰქონდათ გემებს სხვა-დასხვა ქვეყნებიდან, რომელთა შორის ცალკე იყო ნახსენები კრეტა და ცალკე ვენეცია. კრეტულ გემებს შეხვდებოდით აგრეთვე ალექსანდრი-აში, კონსტანტინოპოლში, თურქეთში, სირიაში, გერმანიაში, საფრანგე-თში, პორტუგალიაში, შავ ზღვაზე. უკვე XIV საუკუნის წყაროებში ნახ-სენებია არაერთი კრეტელი გემთმშენებელი თუ გემთმფლობელი. ღვი-ნის გარდა კრეტა აწარმოებდა აგრეთვე ხორბლეულს და ცვლიდა მას ზეთსა და ზეთის ხილზე. კრეტაზე განვითარებული იყო მეწარმეობაც. აღსანიშნავია, რომ ყოველ საწარმოს ან სახელოსნოს თავისი ეკლესია ჰქონდა.

შეიძლება ითქვას, რომ ვენეციელების ბატონობის ბოლო ორი საუკუნე კრეტაზე ეკონომიკური აღმავლობის ხანად უნდა მივიჩნიოთ.

საუკუნეების განმავლობაში ბერძნულ გარემოში ცხოვრებამ განაპირობა ვენეციელი კოლონისტების სრული ასიმილაცია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვენეციის იმპერიის წარმომადგენლები იყვნენ და მისი ინტერესები უნდა დაეცვათ, ხშირად კრეტელების მხარეზე გადადიოდნენ და ფარულად თუ აშკარად უპირისპირდებოდნენ ვენეციას. მათი „ელინიზაციის“ უმთავრესი მიზეზი იყო შერეული ქორწინებები ბერძენ ქალებზე, რაც აიძულებდა მათ მიეღოთ მართლმადიდებლური სარწმუნოება და ესწავლათ ბერძნული ენა. ერთ-ერთი ისტორიკოსი, ფოსკარინი, წერს, რომ „კოლონიის უდიდესი ნაწილი გახდა სრულიად ბერძნული, მათ (კოლონისტებს) დაავიწყდათ (იტალიურად) ლაპარაკი და აღარც ესმით იტალიური ენა“. სხვა ისტორიკოსის აზრით, ამ ხალხისათვის ისეთი შორეულია იტალიური წარმოშობა, რომ მათ თავიანთ თავს „გრეკები“ შეუძლიათ უწოდონ. კრეტაზე XVI საუკუნეში ჩატარებული მოსახლეობის ერთ-ერთი აღწერის მიხედვით, რომელიც მოიცავდა მხოლოდ პირველ ორ კლასს, 82 ოჯახი, თუმცა ბერძნულად ლაპარაკობდა, სარწმუნოება კათოლიკური ჰქონდა შენარჩუნებული, 198 ოჯახი საბოლოოდ გა-ბერძნებული ყოფილა, თუმცა მათ ვენეციური წარმომავლობა ჰქონდათ და 387 ოჯახს თავად ავტოხთონი ბერძნები შეადგენდნენ.

ელინური სულის გაძლიერებას კუნძულზე ხელი შეუწყო თურქების მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან დევნილი ბერძნების ლტოლვამ ჯერ კიდევ „თავისუფალი“ კრეტისაკენ.

ეკონომიკურად ძლიერ კუნძულზე, რასაკვირველია, მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო განათლებაც. ცნობილია, რომ კრეტაზე ფუნქციონირებდა მონასტრებთან არსებული თუ კათოლიკური სკოლები. XVI საუკუნის ერთ-ერთი ხანდაკელი ნოტარიუსის უწყების მიხედვით, ქალაქში იყო 148 ნოტარიუსი, 68 ექიმი, 63 მოსამართლე, 41 მხატვარი. აქედან ოცს ექიმებიდან და ოცდაორს მოსამართლეებიდან მიღებული ჰქონდათ საუნივერსიტეტო განათლება (იგულისხმება, ალბათ, პადოვას უნივერსიტეტი, სადაც ბევრი კრეტელი სწავლობდა).

კრეტა იმ ეპოქაში იქცა განთლებისა და კულტურის ჭეშმარიტ ცენტრად. კუნძულზე განათლების მისაღებად მეზობელ ქვეყნებიდან უამრავი მსურველი ჩამოდიოდა. მათ შორის პეტრარკას მასწავლებელიც ყოფილა, რომელიც კრეტაზე ძველი ბერძნულის სასწავლებლად ჩამოსულა. ძალზე შთამბეჭდავია ის კოდიკოგრაფული მოღვაწეობა, რომელსაც კრეტელი სწავლულები ეწეოდნენ. XV-XVII საუკუნეებით

დათარიღებული ძველი ბერძნული და პატერიკული ტექსტების უმრავლესობა სწორედ კრეტაზე იქნა გადაწერილი. საერთოდ, კუნძულზე კარგად იცნობდნენ ანტიკურ ლიტერატურას, ცნობილია კრეტელი კომენტატორები და გამომცემლები ევრიპიდეს, პლატონის, არისტოფანეს და სხვათა ნაწარმოებებისა. თავად ერაზმუს როტერდამელის მასწავლებელიც კი კრეტელი იყო.

ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ კრეტის საზოგადოებამ განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. XVI საუკუნეში კრეტაზე დაარსდა ე.წ. აკადემიები, რომლებიც აერთიანებდნენ იმ დროის შემოქმედებსა და მეცნიერებს. ეს იყო Stravaganti აკადემია ხანდაკაში (რომლის დამაარსებელიც იყო ვიჩენცო კორნაროსის ძმა ანდრეა) და მოგვიანებით Sterili – ხანიაში. აკადემიის წევრები თავიანთ შეკრებებზე მსჯელობდნენ მეცნიერებაზე, აწყობდნენ პოეზიის საღამოებს, დგამდნენ თეატრალურ წარმოდგენებს. თავდაპირველად ყოველივე ეს იტალიურ ენაზე ხდებოდა, მაგრამ შემდეგ განათლებული კრეტელების წყალობით ლიტერატურაშიც და თეატრშიც ბერძნული ენა იკავებს მყარ პოზიციებს.

კუნძულზე ვენეციელების ბატონობის ხანაში მწვერვალს მიაღწია სახვითმა ხელოვნებამაც, რომელიც იტალიური რენესანსის ელემენტებით მდიდრდებოდა.

უკვე XIV-XV საუკუნეებში ვხვდებით ფრესკული თუ იკონოგრაფიული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს მცირე მონასტრებსა თუ ეკლესიებში. ერთი მხრივ, ბიზანტიური და მეორე მხრივ, იტალიური აღორძინების ელემენტების შერწყმამ საფუძველი ჩაუყარა სახვითი ხელოვნების ახალ მიმართულებას, რომელიც „კრეტის სკოლის“ სახელითაა ცნობილი (ამ სკოლის წარმომადგენელი იყო დომენიკოს თეოტოკოპულოსი – ელ გრეკო, სანამ იგი ჯერ ვენეციაში, ხოლო შემდეგ ესპანეთში გადავიდოდა). მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია ინტენსიური ფერები, ფიგურების სტატიკურობა, შუქ-ჩრდილების კონტრასტი, ტრაგიკული გამომეტყველება. ხელოვნებაში „კრეტის სკოლა“ ინარჩუნებდა ძველ ბიზანტიურ ფორმებს, დეტალებს კი იგი იტალიური მხავტრობიდან, განსაკუთრებით კი დიდი იტალიელი მხატვრების სპილენძის გრავიურებიდან სესხულობდა. დღესდღეობით ამ ხელოვნების რამდენიმე ნიმუშიღაა შემორჩენილი კუნძულზე. საუკეთესო ნიმუშები დაცულია ათონის მთის მონასტრებში, საბერძნეთის მუზეუმებში და საზღვარგარეთ.

როგორც ვნახეთ, კუნძულ კრეტაზე სოციალური და კულტურული ცხოვრების სფეროში იმის ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ რენესანსული სული აქ მკაფიოდ გამოვლენილიყო. რაც მთავარია, კრეტელებმა, რომელთაც თითქოს ყოველმხრივი ასიმილაციის ძლიერი საფრთხე ემუქრებოდათ, შეძლეს არა მარტო საკუთარი ელინურობის შენარჩუნება, არამედ პირიქით – ვენეციელთა დიდი ნაწილის ასიმილაცია. სწორედ ამან შექმნა იმის წინაპირობა, რომ აქ მთელი იმ ინფორმაციის, რომელიც კრეტაზე ევროპიდან იტალიის გავლით მოედინებოდა მხატვრული კულტურის სფეროში, უბრალო რეპროდუცირება კი არ ხდებოდა, არამედ შემოქმედებითი ათვისება და გარკვეულწილად ელინიზაცია. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ კრეტული კულტურა გამოირჩევა თვითმყოფადობის უაღრესად მაღალი ხარისხით და, ამასთანავე, ატარებს ევროპული კულტურისათვის დამახასიათებელ ყველა მნიშვნელოვან ნიშანს.

ყოველივე ამის შემდგომ, ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა არის კრეტული რენესანსი და როგორ გამოიხატება იგი ზოგადად კულტურაში და კერძოდ ლიტერატურაში.

რადგანაც ჩვენ კრეტულ რენესანსზე ვმსჯელობთ და შემოვფარგლავთ მას XVI-XVII საუკუნეებით, შეიძლება სრულიად გარკვევით ითქვას, რომ იგი ერთგვარ დაგვიანებულ აღორძინებად წარმოგვიდგება, მაგრამ მას მაინც რენესანსი უნდა ვუწოდოთ, რადგან იგი გვიჩვენებს იმ ძირითად ნიშნებს, რომელიც აღორძინებისათვის არის დამახასიათებელი. ეს ნიშნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. შემობრუნება ადამიანისკენ – ადამიანის ყურადღების ცენტრში მოქცევა; 2. ანტიკური ხელოვნებისა და აზროვნებისათვის დამახასიათებელ პრინციპთა აღორძინება; 3. მსოფლმხედველობის განთავისუფლება დოგმატიზმისგან, ე.წ. დეკანონიზაციის პროცესის დაწყება, რაც, არსებითად, ხელოვანს დიდ თავისუფლებას აძლევს; 4. ანტიკური თემატიკის (მითებისა თუ სხვა) ინტენსიურად შემოსვლა მხატვრულ კულტურასა და აზროვნებაში; 5. ანტიკურისა და ქრისტიანულის სინთეზი მხატვრულ კულტურაში, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ისეთი ქმნილებების შექმნაში, რომელნიც შინაარსით, შესაძლოა, ქრისტიანული ყოფილიყვნენ, მაგრამ ფორმით – ანტიკურნი.

რამდენადაც ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენს ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა, ყურადღება მივაქციოთ უმთავრესად იმას, თუ რა ვითარებაა ამ ეპოქის კრეტის ლიტერატურაში და როგორ აისახა მასში რენესანსული სული.

ჩვენ თავს ავარიდებთ იმაზე საუბარს, თუ რა ხდებოდა კრეტულ მწერლობაში აღორძინების ხანამდე რამდენიმე საუკუნით ადრე და შევეხებით მხოლოდ იმ პროცესებს, რომლებიც XV საუკუნიდან იწყება და რომლებმაც შეამზადა მისი დიდი აღმავლობა XVI-XVII საუკუნეებში. ამ შემთხვევაში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ XV საუკუნიდან კრეტულ ლიტერატურაში თავს იჩენს პროცესი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ორიენტაცია ჟანრულ მრავალფეროვნებაზე, რაც ესოდენ დამახასიათებელია სწორედ რენესანსული აზროვნებისათვის. მართალია, მრავალი კრეტელი ავტორისაგან ჩვენამდე მოაღწია თითო-ოროლა ნაწარმოებმა, მაგრამ ეს სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ დაახლოებით წარმოვიდგინოთ კრეტული ლიტერატურის თვალსაწიერი და მისი ჟანრული დიფერენცირებულობა.

უკვე XIV-XV საუკუნეების მიჯნიდან კრეტულ ლიტერატურაში ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს. სატირულ ნაწარმოებებს მიეკუთვნება სტეფანოს სახლიკისის „არქიმავლისტრები“ და „სათათბირო“, აგრეთვე, უცნობი ავტორის „ქალთა ხოტბა“ და „სინაქსარი კეთილშობილ ქალთა და ღირსეულთა გამგებელთა“. აღსანიშნავია, რომ ეს ჟანრი ძირითადად წარმოდგენილია სატირით ქალებზე. ავტორი არ ერიდება სხვადასხვა კლასისა თუ სოციალური მდგომარეობის კრეტელი ქალბატონების გაკიცხვას, საუბრობს რა ღიად და დაუფარავად მათ ნაკლოვანებებსა და მათ სამარცხვინო მიდრეკილებებზე. ავტობიოგრაფიული ხასიათისაა სტეფანოს სახლიკისის „უჩვეულო ამბები“ და ლინარდო დელაპორტას ლექსი, რომელიც დიალოგის ფორმითაა დაწერილი. დიდაქტიკური ლექსებიდან შემოგვრჩა ასევე სახლიკისის „რჩევები“ და მარინოს ფალიეროსის „დატირება ქრისტეს ვნებისა და ჯვარცმისა“, გიორგოს ხუმნოსის „სამყაროს შექმნა“, ანდრეა სკლენძასის რამდენიმე ლექსი და უცნობი ავტორის „ვედრებანი ქრისტეს ვნებათათვის“. XV საუკუნით თარიღდება ორი იგავ-არაკიც, რომლის ავტორიც არ არის ცნობილი. ესენია: „სახედრის, მგლის და მელიის მშვენიერი ამბავი“ და „კატა და თაგვები“. თხუთმეტმარცვლიანი ლექსით დაწერილი ეს იგავები ბიზანტიური ლიტერატურის იგივე ჟანრის ნაწარმოებების მიბაძვით არის შექმნილი. მთავარი თემა აქაც სოციალური უთანასწორობისა და საზოგადოებაში გაბატონებული მანკიერების დაგმობაა. შემოგვრჩა რამდენიმე ეროტიკული ლექსი – მარინოს ფალიეროსის „ეროტიკული სიზმარი“, „ისტორია და სიზმარი“ და უცნობი ავტორის „ლექსი ქალსა და ყმაწვილზე“, თუმცა ზოგიერთი

მეცნიერის აზრით, ეს უკანასკნელიც, შესაძლოა, მარინოს ფალიეროს კალამს ეკუთვნოდეს. პირველ ორ ლექსში პოეტს ესიზმრება, რომ თავის სატრფოსთან მიდის, თუმცა ვიდრე მასთან სასიყვარულო ვნებას მიეცემა, ერთ შემთხვევაში მამლის ყივილი, ხოლო მეორე შემთხვევაში – რწყილის კბენა გამოაღვიძებს მას. მესამე ლექსში კი ყმაწვილი ახერხებს დაამყაროს სასიყვარულო ურთიერთობა თავის მიჯნურთან, რასაც ნამუსახდილი ქალწულის გლოვა მოჰყვება. იმქვეყნიურ ცხოვრებას ეძღვნება ბერგადისის პოემა „აპოკოპოსი“, იოანის პიკატოროსის „დატირება გაუმაძღარი და ხარბი ჰადესისა“, უცნობი ავტორის „გარდაცვლილი მეფის საუბრები“. ამ ნაწარმოებებში მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი და პოპულარული მოტივი მუშავდება. იმქვეყნიური ცხოვრების დეტალები კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპზე ინტერესის საგანს წარმოადგენდა და ამ საკითხს ანტიკურობიდან მოყოლებული დღემდე არაერთი ნაწარმოები მიეძღვნა. განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა ამ მოტივის მიმართ აღორძინების ხანაში, რაც, რასაკვირველია, კრეტელი პოეტების ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა.

კრეტელ ავტორებს არ გამორჩენიათ არც ერთი მოვლენა, რომელთა მომსწრენიც ისინი თავად იყვნენ. ასე, მანოლის სკლავოსი თავის ნაწარმოებში აღწერს 1508 წელს მომხდარ მიწისძვრას, ცნობილია ანონიმური ავტორის ნაწარმოები „კონსტანტინოპოლის გოდება“, რომელშიც გადმოცემულია 1453 წლის მოვლენები. უცნობი ავტორისაა, აგრეთვე, ისტორიული შინაარსის ნაწარმოები „კვიპროსის დატირება“, რომელიც ეძღვნება კუნძულის დაცემას 1571 წელს. კრეტის ომი აისახა პატრიარქ გერასიმე პალადასის თხზულებაში „კრეტის დატირება“ (XVII საუკუნის ბოლო) და მარინოს ძანე ბუნიალისის „კრეტის ომში“ (1669 წ.). გვიანბიზანტიური სარაინდო რომანის გამოძახილს წარმოადგენს „აპოლონიოს ტიროსელი“ საკმაოდ უხვი ზღაპრული ელემენტებით.

განსაკუთრებული ადგილი კრეტულ ლიტერატურაში უკავია პასტორალურ პოემას „მწყემსი ქალი“, რომელიც, სავარაუდოდ, XVII საუკუნის დასაწყისში უნდა შექმნილიყო.* იგი წარმოადგენს იმ ეპოქაში

* თუმცა იგი ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელია და კრეტული თეატრის აღმოცენების ხანას ემთხვევა, ჩვენ მას აქ წარმოვადგენთ, რადგან იგი არ არის დრამატული ნაწარმოები.

იტალიაში მეტად პოპულარული ჟანრის, პასტორალური იდილიის, გამოძახილს, ოღონდ მოქმედება აქ იდას მთის მაგივრად კრეტის ბუნებაშია გადმოტანილი, რაც ნაწარმოებს მკითხველისთვის უფრო ახლობელს და ადვილად აღსაქმელს ხდის. პოემაში მოთხრობილია მწყემსი ქალისა და მწყემსი ვაჟის სიყვარულის ტრაგიკული ისტორია, რომელიც ქალის სიკვდილით სრულდება. პოემა დაწერილია თერთმეტმარცვლიანი ლექსით, მისი ენა ზედმიწევნით უბრალო და გასაგებია.

როგორც ვნახეთ, ლიტერატურა, რომელიც წინ უსწრებდა კრეტულ რენესანსს, გამოირჩეოდა თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. იგი ეხმიანება, ერთი მხრივ, შუასაუკუნეების ევროპულ ლიტერატურულ პროცესებს და, მეორე მხრივ, ბიზანტიური მწერლობის ტრადიციებს. ამასთანავე, ემთხვევა რა ქრონოლოგიურად იტალიურ რენესანსს, შემოაქვს მისთვის დამახასიათებელი ელემენტებიც. სწორედ ამ ვითარებაში იწყებს აღმოცენებას ლიტერატურა, რომელსაც ელინისტები კრეტულ რენესანსულ მწერლობას უწოდებენ და რომელიც, ჩვენი აზრით, ახალი ბერძნული ლიტერატურის საწყის ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს.

თეატრი საბერძნეთში ძვ.წ. V საუკუნის შემდეგ პირველად სწორედ კუნძულ კრეტაზე აღორძინდა. კრეტული თეატრის აღორძინება იმ ეპოქას ემთხვევა, როდესაც ინგლისში შექსპირი თავის საუკეთესო ნაწარმოებებს ქმნის, ესპანეთში ხალხური თეატრი „ცორრალეს“ ლოპე დე ვეგას მრავალრიცხოვან პიესებს დგამს, ხოლო იტალიაში განვითარების მწვერვალს აღწევს comedia dell’arte. რასაკვირველია, ევროპაზე ორიენტირებული კუნძული ამ პროცესების გულგრილი ვერ დარჩებოდა და მსოფლიო დრამატურგიის ისტორიაში ისიც თავის განაცხადს აკეთებს.

თავიდან, როგორც ჩანს, კრეტაზე პიესები იტალიურ ენაზე იწერებოდა, თუმცა ძალიან მალე იტალიურს ბერძნული ენა ჩაენაცვლა. წარმოდგენები ძირითადად სახალხო ზეიმების დროს იმართებოდა ხოლმე რომელიმე დიდგვაროვანის კარზე ან ცენტრალურ მოედანზე. წარმოდგენებისთვის სპეციალურ სცენებს აწყობდნენ. საკუთრივ თეატრისთვის განკუთვნილი შენობები ამ ეპოქაში, როგორც ქალაქის რუკებიდან ჩანს, არ არსებობდა. სპექტაკლებზე დასწრების უფლება ყველა ფენის წარმომადგენელს ჰქონდა, ასევე ქალებსა და ბავშვებს. მსახიობები, როგორც წესი, პროფესიონალები არ იყვნენ. მათ ანაზღაურებას, ისევე როგორც კოსტუმების, დეკორაციისა თუ მუსიკოსე-

ბის ხარჯებს, გავლენიანი მოქალაქეები იღებდნენ თავიანთ თავზე, რომელთა მოძებნაც არც თუ ისე ძნელი იყო, რადგან მათ კარგად იცოდნენ ამგვარი ღონისძიებების მნიშვნელობა და საკმაოდ ხელგაშლილებიც იყვნენ ხელოვანთა მიმართ. ისინიც, თავის მხრივ, მადლობას არ იშურებდნენ და ყოველი ნაწარმოების ეპილოგსა თუ პროლოგში მოიხსენიებდნენ მათ.

ის, რომ კუნძულზე თეატრისადმი არა მხოლოდ ინტერესი გაჩნდა, არამედ ამ ჟანრმა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა ლიტერატურაში, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იმ ეპოქის კრეტაზე არსებობდა ჩამოყალიბებული მაღალინტელექტუალური საზოგადოება, რომელიც მზად იყო მიეღო და შესაბამისად შეეფასებინა ლიტერატურაში და ზოგადად ხელოვნებაში მიმდინარე პროცესები, რადგან თეატრი მოითხოვს არა ერთეულ განათლებულ მკითხველს, არამედ დიდ აუდიტორიას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქაში, როგორც ჩანს, კრეტაზე ბევრი პიესა დაიწერა, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სამმა ტრაგედიამ (გ. ხორტაცისის „ეროფილი“, ი.ა. ტროილოსის „მეფე როდოლინოსი“ და უცნობი ავტორის „ძენონი“), სამმა ყოფითი ხასიათის კომედიამ (გ. ხორტაცისის „კაძურბოსი“, მ.ა. ფოსკოლოსის „ფორტუნატოსი“ და უცნობი ავტორის „სტათისი“), ერთმა პასტორალურმა კომედიამ (გ. ხორტაცისის „პანორია“), ერთმა რელიგიური ხასიათის დრამამ (ვ. კორნაროსის „აბრაამის მსხვერპლი“).

თეატრის ფუძემდებელი კრეტაზე უდაოდ იყო გიორგოს ხორტაცისი, რომელმაც თავისი თავი დრამის სამივე სახეობაში მოსინჯა და შესანიშნავი ნიმუშებიც დაგვიტოვა. მის ცხოვრებაზე ჩვენთვის ბევრი რამ არ არის ცნობილი. სავარაუდოდ, მას უნდა ეცხოვრა XVI საუკუნის მიწურულსა და VII საუკუნის დასაწყისში. დრამის აღორძინების გარდა, მას დიდი წვლილი მიუძღვის კრეტული ლიტერატურის ენის ფორმირებაშიც. ეს არის შეგნებულად (ხელოვნურად) შექმნილი ნაზავი კრეტული იდიომისა და ადგილობრივი ხალხური პოეზიის ენისა წინა საუკუნეების სალიტერატურო ენასთან.

ყველაზე უფრო ადრეული ნაწარმოები ხორტაცისისა არის კომედია „კაძურბოსი“, რომელიც უნდა დაწერილიყო 1595-1601 წლებში. მოქმედება კრეტის ერთ-ერთ ქალაქში ვითარდება. პოეტი მოგვითხრობს ნიკოლასა და კასანდრას სიყვარულის ისტორიას. კასანდრას დედინაცვალი აპირებს მიათხოვოს ქალიშვილი მდიდარ მოხუცს, მაგრამ მალე

აღმოჩნდება, რომ კასანდრა მოხუცი სასიძოს შვილია, რომელიც ბავშვობაში თურქებს გაუტაციათ. ნაწარმოები ნიკოლას და კასანდრას ქორწილით მთავრდება. საერთოდ, კრეტული კომედია არ გამოირჩევა განსაკუთრებული ნოვატორობით. იგი დასავლური, ძირითადად იტალიური კომედიების მიბაძვით იქმნებოდა, რომელსაც, თავის მხრივ, პლავტესა და ტერენციუსის კომედიები ედოთ საფუძვლად. გარდა ფორმისა და შინაარსის მსგავსებისა, კრეტული და იტალიური კომედიების პერსონაჟებიც ძალზე გვანან ერთმანეთს. აქ ვხვდებით ბოროტ დედინაცვალსა და კეთილ ძიძას, მაჭანკლებსა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონებს, მშიშარა რაინდს, სქოლასტიკოს პედაგოგს, პარაზიტ და გაუმაძღარ მოახლეებს და ა.შ.

აღორძინების ხანის კომედიისათვის, როგორც ცნობილია, არ იყო უცხო ენაბილწობა. ამ მხრივ არც იტალიური კომედიები გამოირჩეოდნენ თავმდაბლობითა და ზომიერებით. „კაძურბოსის“ ავტორმა იტალიური კომედიისათვის დამახასიათებელი ეს ნიშანიც გადმოიღო და არისტოფანეს კომედიების მსგავსად, მის ქმნილებაშიც მრავლადაა უხამსობანი.

შესაძლოა ხორტაცისის კალამს ეკუთვნოდეს კომედია „სტათისი“ (ეს სახელწოდება მას ტექსტის პირველმა გამომცემელმა, კ. სათასმა დაურთო, თუმცა, ალბათ, მისი სათაური უნდა ყოფილიყო თავად მთავარი გმირის სახელი „ხრისიპოსი“). ნაწარმოები 1585-1592 წლებით თარიღდება. სიუჟეტი და პერსონაჟები აქაც „სტანდარტულია“ და ძალზე მოგვაგონებს „კაძურბოსს“, იმ განსხვავებით, რომ აქ ავტორს ორი წყვილი შემოჰყავს, რომელებიც, მათ შორის კომიკური გაურკვევლობების შემდეგ, იცვლებიან და ქორწინდებიან. წინა კომედიასთან შედარებით, „სტათისი“ უფრო მაღალი ლიტერატურული ღირებულების მქონე ნაწარმოებია. მისი ენა და მეტრი უფრო დახვეწილია, ნაკლებად ვხვდებით უხამსობებს, რომელთა გამოყენებაც „კაძურბოსში“ ზოგჯერ გადამეტებული და სრულიად უმიზნოა, შეყვარებულთა მონოლოგები უფრო ლირიკული და არახელოვნურია. ნაწარმოების არქიტექტონიკის თვალსაზრისითაც „სტათისი“ უფრო კარგად არის აწყობილი – თუკი „კაძურბოსში“ მოქმედება, რომელსაც დაკარგული შვილის ამოცნობამდე მივყავართ, მონოტონურია და ფინალი მკითხველისათვის თავიდანვე ნათელია, რის გამოც ამოცნობის ეპიზოდი აღარ ახდენს სასურველ ეფექტს, „სტათისში“ სიუჟეტი უფრო დინამიურად ვითარდება და მხოლოდ კვანძის გახსნის შემდეგ ვხვდებით,

თუ როგორი იქნება ნაწარმოების დასასრული. ყოველივე ზემოთ თქმული ნათელს ჰყოფს, რომ „სტათისის“ ავტორი არა მარტო იცნობს და გარკვეული თვალსაზრისით იყენებს „კაძურბოსს“, არამედ ითვალისწინებს და ასწორებს წინა კომედიის ნაკლოვანებებს.

1649-67 წლებში უნდა იყოს შექმნილი მარკოს ანდრეას ფოსკოლოსის კომედია „ფორტუნატოსი“. ხორტაცისისგან განსხვავებით, „ფორტუნატოსის“ ავტორის შესახებ არაერთი ცნობა მოგვეპოვება. ცნობილია, რომ იგი დაიბადა დაახლოებით 1597 წელს. მას განათლება იტალიურად ჰქონდა მიღებული, თუმცა იცოდა ლათინური და ძველი ბერძნული ენაც. 1618 წელს ფოსკოლოსი დაქორწინდა. 1648 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, იგი კერკირაზე გაემგზავრა და მეორედ დაქორწინდა. 1651 წელს ფოსკოლოსი დაბრუნდა თურქების მიერ გარშემორტყმულ კუნძულზე, სადაც ერთ წელიწადში გარდაიცვალა.

„ფორტუნატოსის“ სიუჟეტიც ძლიერ მოგვაგონებს „კაძურბოსსა“ და „სტათისს“. აქაც პროტაგონისტები არიან ახალგაზრდა ქალ-ვაჟი და მდიდარი მოხუცი, რომელსაც ქალის ცოლად შერთვა განუზრახავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდება, რომ ვაჟი მისი შვილია, ყველაფერი ახალგაზრდების ქორწილით სრულდება. აქაც, „კაძურბოსის“ მსგავსად, პოეტს მრავლად შემოჰყავს იტალიური კომედიისათვის დამახასიათებელი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, რაც პიესას განსაკუთრებულ ხიბლს აძლევს. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს კომედიის თვალშისაცემი ნაკლოვანებებიც: პიესის 27 სცენიდან მხოლოდ 9 შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად, ენა სავსეა იტალიზმებით, რაც ხშირად გაუგებარსაც კი ხდის დიალოგებს, პიესა გადატვირთულია ისტორიული პირებისა და გეოგრაფიული სახელების ჩამონათვალით (ერთ-ერთი გმირი ჩამოთვლის ანტიკური ეპოქის ყველა ექიმს, მეორე ახსენებს პიროვნებებს, ცნობებს რომელთა შესახებაც გვაწვდის პლუტარქე „პარალელურ ბიოგრაფიებში“ და ა.შ.). გაუმართავია ლექსიც – იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაწარმოები თავიდან პროზაული იყო და მოგვიანებით ავტორმა (დიდი წვალების ფასად) იგი გალექსა.

სამი ზემოთგანხილული კომედიისგან ყველაზე დიდია „ფორტუნატოსი“ (2729 სტრიქონი, 27 ეპიზოდი), შემდეგ მოდის „კაძურბოსი“ (2304 სტრიქონი, 46 ეპიზოდი). ყველაზე უფრო მცირე ზომისაა „სტათისი“, რომელიც მხოლოდ 3 მოქმედებისგან შედგება (1278 სტრიქონი, 26 ეპიზოდი). საგუნდო პარტიები კომედიებს არა აქვთ, თუმცა მათ დართული აქვთ ინტერმედიები, რომელთა თემები, როგორც წესი, ბერძნული მითოლოგიიდან არის ნასესხები. სამივე მათგანს აქვს ამ

ჟანრისათვის დამახასიათებელი ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახალი ატიკური კომედიის მიბაძვით შექმნილმა XVI საუკუნის კომედიამ დააწესა: ერთიანი, შეუცვლელი დეკორაცია (სცენა), მთავარი გმირის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული გაუგებრობანი, ენის სიმარტივე და, ხშირად, უხამსობების გამოყენება, სტერეოტიპული პერსონაჟები, ბედნიერი დასასრული.

კომედიის ჟანრს ეკუთვნის გ. ხორტაცისის პასტორალური პიესა „პანორია“ (სათასის გამოცემაში „ღიპარის“). კომედიის პროტოტიპი არის ლუიჯი გროტოს ნაწარმოები „კალისტო“, რომელიც პირველად 1583 წელს დაიბეჭდა. მოქმედება იდას მთაზე ვითარდება. სახეზეა პასტორალური ჟანრისთვის საჭირო ყველა ელემენტი – იდილიური ბუნება, ცხოველთა სამყარო, მწყემსი ქალ-ვაჟები. პოეტი გვიამბობს მწყემსი ვაჟების სიყვარულის შესახებ ორი მწყემსი ქალისადმი, რომლებიც, მართალია თავიდან უარყოფენ მათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მწყემსები აფროდიტეს მსხვერპლს შესწირავენ და ეროსი ქალებს თავისი ისრებით განგმირავს, ისინი ქორწინებაზე თანხმდებიან. ხორტაცისს კრეტულ ლიტერატურაში შემოაქვს ჟანრი, რომელიც იტალიაში ანტიკური ეპოქის იდილიების მიხედვით იქმნებოდა. „პანორია“ არის თვალსაჩინო ნიმუში იმისა, თუ როგორ უბრუნდება კრეტული ლიტერატურა თავის ძირებს, ანტიკურ ლიტერატურას, ევროპული მედიუმის გზით, თუ როგორ შემოაქვს მას თავის წიაღში ის, რაც ევროპამ სწორედ მათი წინაპრებისგან ისესხა.

„პანორიას“ შემდეგ ხორტაცისი ძალზე მოკლე ხანში ასრულებს ტრაგედიას „ეროფილი“, რომლის არსებობის შესახებაც უკვე „პანორიას“ პროლოგში გვამცნობს. „ეროფილი“, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არის არა მარტო ხორტაცისის, არამედ საერთოდ კრეტული რენესანსის შედევრი. ტრაგედიის მოქმედება ძველ ეგვიპტეში, ქალაქ მემფისში ვითარდება, თუმცა პერსონაჟების სახელები, ისევე როგორც მათი სარწმუნოება, ბერძნულია. მეფე ფილოგონოსის (რომელიც ტახტზე საკუთარი ძმის მკვლელობის შემდეგ ავიდა) ქალიშვილს, ეროფილის, უყვარს არასამეფო წარმოშობის ყმაწვილი, პანარეტოსი, რომელთანაც საიდუმლოდ იქორწინებს. ფილოგონოსი გაიგებს საიდუმლო ქორწინების შესახებ, მხეცურად აწამებს და მოკლავს პანარეტოსს, ხოლო მის თავს, გულსა და კიდურებს თავის ქალიშვილს, როგორც საქორწინო ძღვენს, ისე მიართმევს. სასოწარკვეთილი ქალი თავს მოიკლავს, ხოლო მეფე ფილოგონოსს კი გაშმაგებული კორასიდების გუნდი ჩაქოლავს.

ეს ტრაგედია, ისევე როგორც ყველა დანარჩენი კრეტული ტრაგედია, შედგება პროლოგის, ეპილოგისა და ხუთი მოქმედებისგან. კლასიკური ბერძნული ტრაგედიის მსგავსად იგი შეიცავს ქოროს პარტიებს. მისი პროტოტიპი არის იტალიელი ჟან ბატისტა ჯირალდის ტრაგედია „ორბეკა“ (1543 წ.), რომელიც თავის მხრივ, სენეკას შემზარავი ტრაგედიების გავლენით იყო შექმნილი. კრეტელმა პოეტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა თავის ნაწარმოებში: პროტოტიპისგან განსხვავებით, აქ არ არის ინცესტის სცენა (ორბეკას დედა, დედოფალი სელინა, თანაცხოვრობს თავის უმცროს ვაჟიშვილთან, რის გამოც მეფე ორივეს სიცოცხლეს გამოასალმებს); ეროფილის, ორბეკასგან განსხვავებით, არა ჰყავს შვილები, შესაბამისად, არ არსებობს არც მათი მკვლელობის სცენა, რომელიც შემზარავად არის გადმოცემული ჯირალდის ტრაგედიაში; ორბეკა თავად გამოასალმებს სიცოცხლეს ვერაგ მამას და მხოლოდ ამის შემდეგ იკლავს თავს, მაშინ როდესაც „ეროფილიში“ ფილოგონოსს კო-რასიდების გუნდი უსწორდება (ეს სახეცვლილება არ არის შემთხვევითი და, ფაქტობრივად, არის ქალთა „ამბოხის“, დაუმორჩილებლობის გამოხატულება).

ორივე ტრაგედიაზე ერთი თვალის გადავლებითაც კი ჩანს, რომ იმ მომენტებს, რომლებიც კრეტელ ავტორს უგულებელყოფილი აქვს, სიუჟეტის განვითარებისთვის არა აქვთ საკვანძო მნიშვნელობა და მათი არსებობა იტალიურ ვარიანტში, როგორც ჩანს, განპირობებული იყო ავტორის სურვილით, მაქსიმალურად შემზარავი და შიშისაღმძვრელი ყოფილიყო მისი ტრაგედია. ჯირალდი, რომელმაც სენეკასგან არა მარტო მაყურებლის შეშინება ისწავლა, არამედ მათი ჭკუის სწავლებაც ფილოსოფიური სენტენციებით, ცდილობდა მაქსიმალურად გაეძლიერებინა ტრაგიკული ეფექტი, რათა მეტად აღეგზნო მაყურებელი, ამისათვის კი იგი ყველა ხერხს მიმართავდა, რაც, ზოგჯერ მისი ნაწარმოების ლიტერატურულ ღირებულებას აქვეითებდა. ხორტაცისი ასუსტებს „ორბეკას“ ექსპრესიულობასა და რიტორიკულობას და თავის პერსონაჟებს მეტი ადამიანურობითა და სითბოთი მოსავს. იგი შეეცადა შეერბილებინა პროტოტიპის ცალკეული სცენების სისასტიკე და შეუბრალებლობა. კრეტელმა პოეტმა მოახერხა შემზარავი, სისხლიანი სცენებით სავსე სიუჟეტი, რომელიც მან თავისი ნაწარმოებისთვის აირჩია, დიდი მღელვარებითა და ლირიზმით გადმოეცა. თემის გაშლისას წარმოდგენილი მძიმე, გულისშემაშფოთებელი მომენტები ნაკლებად გვაწუხებენ, რადგანაც ისინი სწრაფად იცვლებიან უმშვენიერესი

ლირიკული პასაჟებით, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ რამდენიმე წუთით მაინც თავი დავაღწიოთ იმ გარდაუვალ ტრაგედიას, რომელიც ნაწარმოებში ვითარდება. თუმცა ხორტაციისის მცდელობა, ნაკლებ სისხლიანი ყოფილიყო მისი ტრაგედია, ვფიქრობ, სულაც არ ამცირებს ტრაგიკული კათარზისის განცდას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრეტული ტრაგედიის აუცილებელი ატრიბუტია ქორო. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ანტიკური ქორო სწორედ იტალიური მოდის წყალობით კვლავ დაბრუნდა სამშობლოში – კრეტელი პოეტები იტალიური შუამავლის გზით ისე ახდენენ სოფოკლესა და ევრიპიდეს პერიფრაზს, რომ ხშირად ამას ვერც კი ხვდებიან.

„ეროფილის“ ოთხი ქოროს პარტია აქვს. თითოეული მათგანი 60-70 სტრიქონს შეიცავს და თერთმეტმარცვლიანი ლექსითაა დაწერილი. ძველი ბერძნული ქოროს მსგავსად კრეტული ქოროც თანაუგრძნობს ან გმობს ტრაგედიის პერსონაჟებს, ევდრება ღმერთს მათთვის ან მათ ბედს განსჭვრეტს. ამასთან ერთად, ამზადებს მაყურებელს შემდეგ მოქმედებაზე გადასასვლელად. თითოეულ მათგანს განსხვავებული თემა აქვს: პირველი წარმოადგენს ჰიმნს ეროსისადმი, მეორე არის ნოსტალგია გარდასულ დღეთა, მესამე – მსჯელობა სიღარიბესა და სიმდიდრეზე, ხოლო მეოთხე არის ვედრება ჰელიოსისადმი.

„ეროფილის“ გავლენითაა შექმნილი რეთიმნოს მკვიდრის, იოანის ანდრეას ტროილოსის ტრაგედია „მეფე როდოლინოსი“. ეს ტრაგედია 1647 წელს ვენეციაში გამოიცა, მაშინ, როდესაც პოეტის სამშობლოში ომი მძვინვარებდა. თუმცა, ნაწარმოების შექმნის თარიღი უფრო ადრეული უნდა იყოს. აღორძინების ხანის სხვა ნაწარმოებების მსგავსად, ეს ტრაგედიაც დასავლურ პროტოტიპს ეყრდნობა. მისი პირველწყარო ცნობილი იტალიელი პოეტის ტორკვატო ტასოს „მეფე ტორისმონდო“ (1587 წ.) არის.

ნაწარმოების სიუჟეტი შემდეგნაირად ვითარდება: სპარსეთის მეფეს ტროსილოსს უყვარს კართაგენის მეფის ქალიშვილი არეტუსა, თუმცა მეფე მას ქალს არ ატანს, რადგან წარსულში ტროსილოსს მისი ქვეყანა დაურბევია და მეფის ვაჟიც მოუკლავს. მაშინ ტროსილოსი აგზავნის თავის მეგობარს, მემფისის მეფეს როდოლინოსს კართაგენის მეფის კარზე, რათა მან მეფეს არეტუსას ხელი სთხოვოს, იქორწინოს მასზე ფიქტიურად და შემდეგ ქალი მეგობარს ჩამოუყვანოს. ყველაფერი ისე მიდის, როგორც ტროსილოსს ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ

უკანა გზაზე მემფისის მეფის გემმა კატასტროფა განიცადა და როდოლინოსი არეტუსასთან ერთად კუნძულზე აღმოჩნდა. განმარტოებაში მყოფი ახალგაზრდები ცდუნებას ვერ უძლებენ და შეუღლდებიან. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ეგვიპტეში ჩამოაღწევენ, ქალი ვერ გაუძლებს როდოლინოსთან განშორებას და თავს მოიკლავს. სატრფოს სიკვდილითა და საკუთარი მეგობრის მიმართ ჩადენილი ღალატით თავზარდაცემული როდოლინოსი თავს სიცოცხლეს გამოასალმებს. იგივე ბოლო ელის ტროსილოსსაც, რომელიც სიმართლეს მეგობრის მიერ ცხოვრების უკანასკნელ წუთებში დაწერილი წერილიდან შეიტყობს.

ტრაგედიის ენა, ისევე როგორც „ეროფილის“ შემთხვევაში, მეტად დახვეწილი და მდიდარია, თუმცა ზოგჯერ გაურკვეველი სინტაქსური წყობის ფრაზები გვხვდება. გმირთა მონოლოგებს ხშირად იმდენად ნარატიული ფორმა აქვთ, რომ ნაწარმოებს დრამატულიდან ეპიკურ-ლირიკული პოემისაკენ ხრის. თუმცა ეს ფენომენი ზოგადად კრეტული ლიტერატურისათვის იყო დამახასიათებელი. ამას ემატება ტროილოსის ლტოლვა თხრობისას, აღწერისას ზედმიწევნითი დეტალიზაციისკენ, რაც, ასევე უფრო ეპიკური ჟანრისათვისაა დამახასიათებელი, ვიდრე დრამატულისთვის. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ოსტატობა, რომლითაც პოეტი გმირთა ხასიათებს ქმნის – შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ფსიქოლოგიური ტრაგედია ამ ტერმინის დღევანდელი გაგებით.

რაც შეეხება ქოროს პარტიებს, „ეროფილის“ მსგავსად, აქაც ქორო სიმდიდრისა და ძალაუფლების წარმავლობაზე, სიცოცხლის ამაოებაზე მღერის.

მესამე ტრაგედია „ძენონი“, რომლის ავტორიც უცნობია, იესუიტური თეატრის გამოძახილს წარმოადგენს. ინგლისელი ავტორის, ბერის ჯოსეფ საიმონის ტრაგედია, რომელიც „ძენონის“ პროტოტიპად არის დასახელებული, ლათინურ ენაზეა შექმნილი. იგი პირველად 1631 წელს ინგლისში, ხოლო 1634 წელს რომში დაიდგა. ბერძნული ტექსტი ან თავად ლათინურს და ან მის ჩვენთვის უცნობ იტალიურ თარგმანს უნდა ეყრდნობოდეს. სავარაუდოდ იგი 1682-83 წლებში შეიქმნა. „ძენონის“ ავტორს, როგორც ჩანს, უნდოდა თავი აერიდებინა ხორტაცისისა და ტროილოსის ტრაგედიებისათვის დამახასიათებელი ანაქრონიზმისთვის და შეექმნა ისტორიული ტრაგედია, რომელშიც პროტაგონისტებად ბიზანტიის იმპერატორი ძენონი და მისი ძმა ლონგინოსი წარმოგვიდგებიან. იესუიტი ავტორი ცდილობს მთელი სიმძაფრით გადმოსცეს თავის ტრაგედიაში ბიზანტიის იმპერატორის კარზე არსებული ინტრიგები და

დაპირისპირებები, რაც, როგორც წესი, მკვლელობებით სრულდებოდა ხოლმე. ამიტომ, ტრაგედია გამოირჩევა მკვლელობების განსაკუთრებული სიმრავლით. კრეტელი ავტორიც, როგორც ჩანს, გატაცებულია იესუიტი თანამოკალმის მიგნებებით და თავის ქმნილებაში ბევრს არაფერს ცვლის. მაგრამ თუკი საიმონსის ტრაგედიას მხოლოდ ბერები იცნობდნენ, ბერძენი პოეტის ქმნილება მეტად პოპულარული ყოფილა იმ ეპოქაში. ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც სახელდება, რომ კრეტული „ძენონი“ ლიტერატურული თვალსაზრისით ბევრად უფრო აღემატება მის პროტოტიპს.

კომედიებისა და ტრაგედიების გარდა კრეტულმა ლიტერატურამ შემოგვინახა, აგრეთვე, რელიგიურ თემაზე დაწერილი დრამა „აბრაამის მსხვერპლი“, რომლის ავტორიც, როგორც ჩანს, უდიდესი კრეტელი პოეტი ვიჩენცო კორნაროსია. მასზე ჩვენ მოგვიანებით უფრო დეტალურად შევჩერდებით. „აბრაამის მსხვერპლი“, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ძველი აღქმის ერთ-ერთი ეპიზოდის ინსცენირებას წარმოადგენს. მისი პროტოტიპი არის ლუიჯი გროტოს ტრაგედია „ისააკი“. აბრაამს გამოეცხადება ანგელოზი, რომელიც მას ღმერთის ნებას ამცნობს – მან უნდა შესწიროს უფალს მისი ერთადერთი ვაჟი ისააკი. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტური ხაზი ზუსტად მიყვება ეპიზოდს ძველი აღქმიდან, კრეტულ პიესაში აბრაამისა და სარას ისტორია ძალზე დრამატიზებულია და მკითხველში თანაგრძნობასა და სინანულს იწვევს. ძველი აღქმიდან განსხვავებით, სადაც აბრაამი უყოყმანოდ ემორჩილება უფლის ნებას, აქ ნაჩვენებია ის ტკივილი და ორჭოფობა, რომელიც ადამიანს ამ დროს შეიძლება დაეუფლოს. კორნაროსი გვიხატავს ხასიათების მთელ გამას. დრამაში წინა პლანზეა წამოწეული ადამიანური გრძნობები და განცდები – აბრაამი, მიუხედავად თავისი ერთგულებისა უფლისადმი, ორჭოფობს და არ იცის, როგორ მოიქცეს, მისი ცოლი სარა გლოვობს ერთადერთი ვაჟის ბედს და მზად არის შეეწინააღმდეგოს კიდეც მის მსხვერპლად შეწირვას. მისი მონოლოგი მოგვაგონებს ბერძენი დედების სამგლოვიარო სიმღერას. მიუხედავად შექმნილი სიტუაციის სირთულისა, აბრაამი მაინც გადაწყვეტს დაემორჩილოს უფალს და ცოლსაც დაარწმუნებს არჩევანის სისწორეში. თუმცა, ფინალურ ეპიზოდში აბრაამს ისევ გამოეცხადება ანგელოზი, რომელიც ამცნობს მას, რომ ღმერთმა დაიჯერა მისი ერთგულებისა და რომ მას შეუძლია ძის მაგივრად ცხვარი შესწიროს მას.

კუნძულ კრეტაზე XVI საუკუნეში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს უთუოდ უნდა მივეყვანეთ ისეთი ნაწარმოების შექმნამდე, რომელიც დააგვირგვინებდა კრეტულ რენესანსს და წარმოგვიდგებოდა ამ ეპოქის ლიტერატურის შედეგად. ასეთი ნაწარმოებია „ეროტოკრიტოსი“, რომელსაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალ ბერძნულ მწერლობაში, ხოლო მისი გმირები იქცნენ პარადიგმატულად მთელი შემდგომდროინდელი ბერძნული ლიტერატურისთვის.

„ეროტოკრიტოსი“, ისევე, როგორც XVI-XVII საუკუნეების კრეტული ლიტერატურის სხვა ნაწარმოებები, თავდაპირველად ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. იგი მხოლოდ 1713 წელს დაისტამბა ვენეციაში იტალიელი გამომცემლის ანტონიო ბორტოლის ტიპოგრაფიაში. ნაწარმოების ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც 1710 წლით თარიღდება, ლორდ ჰარლეის კოლექციის კუთვნილებას წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც მეცნიერებაში გაძლიერდა ინტერესი „ეროტოკრიტოსის“ მიმართ, წამოიჭრა არაერთი პრობლემა, რომელთა შორის არის ავტორის ვინაობისა და ნაწარმოების შექმნის თარიღის დადგენის, წყაროებისა და ჟანრული კუთვნილების საკითხები.

პირველი სამი საკითხი, შეიძლება ითქვას, იმდენად დამოკიდებულია ერთმანეთზე, რომ საკმარისია გადაწყდეს ერთ-ერთი მათგანი, რომ პასუხი გაეცემა ყველა დანარჩენს.

ნაწარმოების ბოლოს ავტორი თვითონ გვაძლევს ინფორმაციას თავის თავზე. ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ პოეტი იყო ვინმე ვიჩენცო კორნაროსი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა სიტიაში, დაქორწინდა ხანდაკაში, სადაც დაასრულა კიდეც თავისი ნაწარმოები. თუმცა, საქმეს ის ართულებს, რომ XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში კრეტაზე რამდენიმე ვიჩენცო კორნაროსი ცხოვრობდა და თითოეული მათგანი შეიძლებოდა „ეროტოკრიტოსის“ ავტორი ყოფილიყო.

ავტორის ვინაობის დადგენა და ნაწარმოების შექმნის წლების განსაზღვრა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ნაწარმოებს მივიჩნევთ „ეროტოკრიტოსის“ პირველწყაროდ.

1935 წელს რუმინელი მეცნიერის კარტოიანის მიერ „ეროტოკრიტოსის“ პროტოტიპად დასახელებული იყო ფრანგული შუასაუკუნეების რომანი „პარისი და ვიენა“, რომელიც 1432 წლით თარიღდებოდა და რომლის ავტორია პიერ დე ლა სიპედი.

კარტოიანის აზრით, კორნაროსს შესაძლოა გამოეყენებინა არა ფრანგული ტექსტის რომელიმე ხელნაწერი, არამედ მისი იტალიური თარგმანი ან გადამუშავებული ვარიანტი. სავარაუდო ტექსტებიდან იგი ასახელებს Carlo di Piero del Nero-ს გადამუშავებულ ვარიანტს, Antonio de Folcholieri da Pistoria-ს ნაწარმოებს და 1482 წელს გამოცემულ იტალიურ პროზაულ ვარიანტს სათაურით: La historia de li nobilissimi amanti Piere et Vienne, აგრეთვე მარიო ტელუჩინის და ანჯელო ალბანი ორვინტანოს პოემებს.

მიუხედავად დასახელებული სავარაუდო პირველწყაროების სიმრავლისა, ერთი რამ შეიძლება გადაჭრით ითქვას: ყველა იმ ნაწარმოებთან შედარებით, რომელნიც „პარისისა და ვიენას“ მოდელთან არიან დაკავშირებულნი, „ეროტოკრიტოსი“ ამ მოდელის ყველაზე უფრო თვითმყოფად რეალიზაციას გვთავაზობს. ეს გვაფიქრებინეს იმას, რომ თავად პოეტი საკმაოდ თავისუფალი იყო წყაროებთან მიმართებაში. იგი ითვალისწინებდა, შესაძლოა, ერთი მხრივ, ამ მოდელთან დაკავშირებულ არაერთ თხზულებას, რისი გამორიცხვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, ხოლო მეორე მხრივ, ალბათ ზოგიერთ სხვა თხზულებასაც, რომელთა სულსაც ამა თუ იმ ასპექტით ეხმიანება მისი ნაწარმოები (მაგ. „შმაგი ორლანდო“, არიოსტო). ამიტომ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ყოველგვარი ცდა დაუკავშირონ „ეროტოკრიტოსი“ რომელიმე ერთ წყაროს არ არის ბოლომდე გამართლებული. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაწარმოების შექმნის პროცესში რომელიღაც მათგანს, არ ჰქონდა უპირატესი მნიშვნელობა.

ჩვენ არ შევუდგებით „ეროტოკრიტოსთან“ დაკავშირებული პრობლემატიკის საფუძვლიან კვლევას. დასკვნის სახით ვიტყვით მხოლოდ, რომ: ა) „ეროტოკრიტოსის“ ავტორია ვიჩენცო კორნაროსი, ბ) იგი დაწერილია XVII საუკუნის პირველ ნახევარში, გ) „ეროტოკრიტოსის“ ინფორმაციულ პროტოტიპს წარმოადგენს ფრანგული შუასაუკუნეების რომანი „პარისი და ვიენა“, დ) კორნაროსს ხელთ ჰქონდა არა ფრანგული ტექსტი, არამედ მისი რომელიმე იტალიური ვარიანტი.

ნაწარმოები დაყოფილია ხუთ წიგნად, რაც, ალბათ, იმ ეპოქაში დრამის პოპულარობით და მისი გავლენით უნდა აიხსნას. სულ იგი შეიცავს 10000-მდე სალექსო სტრიქონს. პოემაში მოთხრობილია არეტუსასა და ეროტოკრიტოსის სასიყვარულო ისტორია, წყვილისა, რომელიც შუასაუკუნეების სარაინდო რომანის გმირების მსგავსად, სხვადასხვა

გარემოებებისდა გამო შორდებიან ერთმანეთს და მათ თავს დამტყდარი მრავალი თავგადასავალის შემდეგ კვლავ უღლდებიან. მოქმედება ძველ ათენში ხდება. არეტუსას მამა მეფე ირაკლისი არ ატანს ქალიშვილს მისი მრჩეველის, პეზოსტრატოსის ვაჟს ეროტოკრიტოსს, ხოლო მას შემდეგ, რაც შეიტყობს, რომ ახალგაზრდები მაინც ხვდებიან ერთმანეთს, ეროტოკრიტოსს სამეფოდან გააძევებს, ურჩ ქალიშვილს კი ციხესიმაგრეში გამოკეტავს. თუმცა მას შემდეგ, რაც იერშეცვლილი ეროტოკრიტოსი ირაკლისს ვლახების მიერ გაჩაღებულ ომში დაეხმარება და გამარჯვებასაც კი მოაპოვებინებს, მეფე მას ქალიშვილს მიათხოვებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ეროტოკრიტოსი“ მიჩნეულია კრეტული ლიტერატურის შედევრად. მან, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, დააგვირგვინა კრეტული ლიტერატურა. ჩვენ შევეცდებით ავხსნათ, რითი დაიმსახურა ამ ნაწარმოებმა ამგვარი განსაზღვრება და რით გამოირჩევა იგი ამ ეპოქის სხვა ქმნილებებისაგან.

უმთავრესი თავისებურება „ეროტოკრიტოსისა“, ალბათ, ისაა, რომ მასში ჰარმონიულადაა ურთიერთშეხამებული ის, რასაც პირობითად ევროპული შეიძლება ვუწოდოთ და ის, რაც ორგანულია კრეტისათვის და საკუთრივ ბერძნული ლიტერატურისათვის.

„ეროტოკრიტოსი“ სიუჟეტის შერჩევის პრინციპით არ გამოირჩევა მის ეპოქაში გავრცელებული ტენდენციისაგან, გამოიყენოს ევროპაში ე.წ. მოარული სიუჟეტები. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მოდელს წარმოადგენდა „პარისისა და ვიენას“ ამბავი, რომლის საფუძველზეც მრავალ ქვეყანაში შეიქმნა არაერთი ნაწარმოები, მაგრამ მათ შორის არ არის არც ერთი ისეთი, რომელიც მიჩნეულია ნაციონალური ლიტერატურის სიამაყედ, თავისი ეპოქის კულმინაციურ ლიტერატურულ ნაწარმოებად. რაც შეეხება „ეროტოკრიტოსს“, იგი წარმოადგენს „პარისისა და ვიენას“ სიუჟეტის მხატვრული რეალიზაციის იმდენად მაღალ ნიმუშს, რომ სწორედ ამ დონეს აღწევს. ვფიქრობთ, ძირითადად ეს მოხდა იმის გამო, რომ კორნაროსმა შესძლო ა) შთაებერა მოდელისათვის ბერძნული სული, ბ) მოენახა თავისი ეპოქის კრეტის აუდიტორიის შესაბამისი პოეტური თვითგამოსახვის ფორმა, გ) მოეხდინა დრამატული და ეპიკური სტილის საინტერესო სინთეზი ეპიკურ-ლირიკული რომანის ფორმით, დ) შეექმნა სახეები მთავარი გმირებისა, რომელნიც შემდგომში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. ნიშანდობლივია, რომ ევროპულ ლიტერატურაში პარისისა და ვიენას სახეები,

მიუხედავად არაერთგზის გადამუშავებისა, არ ითვლებიან არც ევროპული და არც ნაციონალური ლიტერატურის მასშტაბით პროტაგონისტებად, მაშინ, როდესაც ეროტოკრიტოსი და არეტუსა ბერძნული ლიტერატურის ჭეშმარიტად აღიარებული გმირები არიან.

საინტერესოა, „ეროტოკრიტოსის“ კომპოზიციური აგებულების პრინციპიც. პოემაზე ერთი თვალის გადავლებაც კი გვიჩვენებს, რომ წიგნებსა და მათში გადმოცემულ ინფორმაციას შორის საინტერესო ურთიერთკავშირი ფიქსირდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწარმოები დაყოფილია ხუთ წიგნად. სამი წიგნის (1, 3, 5) ძირითადი თემა სიყვარულია. აქედან მესამე წიგნი აშკარად კულმინაციურად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი შეიცავს სიყვარულის ახსნის, ნიშნობის და ვნებათა დათმენის გადმოცემას. მესამე წიგნი, არსებითად, აგრძელებს პირველ წიგნში დაწყებულ თემას – სიყვარულის აღმოცენებას და ქალის მიერ იდუმალებით მოცული ვაჟის შეცნობას. პირველ წიგნში აღმოცენებული და მესამე წიგნში ვნებადათმენილ სატრფოთა სიყვარულის ისტორია მეხუთე წიგნში ბედნიერი შეკავშირებით მთავრდება. ამ წიგნებს შორის გარკვერულ ინტერმედიებს წარმოადგენენ მეორე და მეოთხე წიგნები თავიანთი ბრძოლების სურათებით, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა შექმნან საგმირო-სარაინდო ეპოსისათვის დამახასიათებელი კონტექსტი, რომელშიც პროტაგონისტი გვევლინება თავისი უმთავრესი არისტიებით. შესაბამისად, შეგვიძლია ვილაპარაკოთ კომპოზიციური ორგანიზაციის თვალსაზრისით ნაწარმოების მეტ-ნაკლებად სიმეტრიულ აგებაზე, სადაც ნაწილთა შორის სრულიად აშკარა ურთიერთკავშირია.

საკმაოდ თანმიმდევრულად მონაცვლეობს ნაწარმოებში ე.წ. დრამატული და ეპიკური პასაჟები.* წიგნებში, რომლებიც ძირითადად სიყვარულის თემის განვითარებას ეძღვნება, აშკარად დიდია დრამატული პასაჟების ხვედრითი წონა იმ წიგნებთან შედარებით, რომელთა ძირითადი თემა აგონიაა. აქ უპირატესობა ეპიკურ პასაჟებს ენიჭებათ. ამგვარად, ნაწარმოები თავისი ხასიათით არის როგორც ეპიკური, ასევე დრამატული სულის მატარებელი. აქ კარგად არის შეზავებული XVII საუკუნის კრეტული ლიტერატურის ლტოლვა დრამატული ჟანრისაკენ და პარალელურად შენარჩუნებულია ის პათოსი, რომელიც ევროპული

* ეპიკურში ვგულისხმობთ წმინდა ნარატიული ხასიათის პასაჟებს, ხოლო დრამატულში – პასაჟებს, რომლებიც გმირთა პირდაპირ მეტყველებას გადმოსცემენ.

შუასაუკუნეების საგმირო-სარაინდო რომანისათვის არის დამახასიათებელი.

„ეროტოკრიტოსი“ ორგანულად ეწერება თავისი ეპოქის კონტექსტში. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ „ეროტოკრიტოსში“ არეკლილია ყოველივე ის საუკეთესო, რასაც ამ ეპოქის კრეტული ლიტერატურის მიღწევად თვლიან. ეს არის: ა) ცდა აშკარა ორიენტაციისა ევროპულ ლიტერატურაზე, რითაც კრეტული მწერლობა დაუკავშირდა ევროპაში მიმდინარე პროცესებს; ბ) ლტოლვა ევროპული კულტურის შემოქმედებითად ათვისებისა და მასში ნაციონალური სულის შთაბერვისაკენ; გ) სწრაფვა მაღალი ლიტერატურისათვის დამახასიათებელი პოეტური ფორმების შექმნისაკენ, რამაც თავისი გავლენა ჰპოვა სხვადასხვა ჟანრში, თუმცა „ეროტოკრიტოსამდე“ ვერ მიაღწია ეპიკური განზოგადების მსგავს სიმაღლეს; დ) შესაბამისობა მკითხველისა და აუდიტორიის გემოვნების მაღალ დონესთან, რომელსაც აღარ აკმაყოფილებს ორდინალური პრიმიტიული ლიტერატურა და რომელიც მოითხოვს, თუნდაც ბანალური სიუჟეტის დამუშავებისას, მაღალმხატვრულობას; ე) მიუხედავად ევროპულ ლიტერატურაზე ორიენტაციისა, დაბრუნება თავის ნაციონალურ ძირებთან, ჩვენ ვიტყოდით, ეროვნული თვითშეგნების მკაფიოდ გამოხატვა.

თითოეული ეს ტენდენცია ცალ-ცალკე თავს იჩენს კრეტული ლიტერატურის ამა თუ იმ ნაწარმოებში. რაც შეეხება „ეროტოკრიტოსს“, მასში ყოველმა მათგანმა თავი მოიყარა და საოცრად რელიეფურად გა მოვლინდა.

სამეცნიერო ლიტერატურა:

შამანიდი ს., *ეროტოკრიტოსის პოეტური სამყარო,* თბილისი, 1995;

Αλεξίου Σ., *Η κρητική λογοτεχνία και η εποχή της, Στιγμή,* Αθήνα;

Αλεξίου Σ., *Η κρητική λογοτεχνία κατά τη βενετοκρατία,* Δήμος Ηρακλείου, Ηράκλειο

Αλεξίου Σ., *Ο χαρακτήρ του Ερωτόκριτου,* Ηράκλειο, 1952;

Ευαγγελάτος Σ., *Και πάλι για τον Ερωτόκριτο. Προσπάθεια προσδιορισμού του ποιητή του,* Καστανιώτης, Αθήνα, 1989;

Ζώρας Γ.Θ., *Περί τας πηγάς της „Θυσίας του Αβραάμ,* Αθήνα, 1945;

Μανούσακας Μ. Ι., *Κριτική βιβλιογραφία του „Κρητικού Θεάτρου,* Αθήνα, 1964;

Παναγιωτάκης Ν., *Κρητικό Θέατρο*, Στιγμή, Αθήνα, 1999;

Παναγιωτάκης Ν., *Ο ποιητής του „Ερωτόκριτου“ και άλλα βενετοκρητικά μελετήματα,* Βικελαία Βιβλιοθήκη, Ηράκλειο, 1989;

Πηδώνια Κ., *Τα λόγια γλωσσικά στοιχεία στα έργα του Χορτάτση*, Ιωάννινα, 1977;

Σαχίνης Α., *Μελέτες για την κρητική λογοτεχνία*, 'Ιδρυμα Κώστα και Ελένης Ουράνη – Βιβλιοπωλείον της Εστίας, Αθήνα, 1995;

Σολομός Α., *Το κρητικό θέατρο. Από τη φιλολογία στη σκηνή,* Κέδρος, Αθήνα, 1998;

Χόλτον Ντ., *Μελέτες για τον Ερωτόκριτο και άλλα νεοελληνικά κείμενα,* Καστανιώτης, Αθήνα, 2001;

Holton D. (επιμέλεια), *Λογοτεχνία και κοινωνία στην Κρήτη της Αναγέννησης,* απόδοση στα ελληνικά: Ν. Δεληγιαννάκη, Ηράκλειο, 1997;

Peri M., *Του πόθου αρρωστημένος. Ιατρική και ποίηση στον „Ερωτόκριτο",* μτφρ.: Α. Αθανασοπούλου, Πανεπιστημιακές Εκδόσεις Κρήτης, Ηράκλειο, 1999.

ნაწარმოებები:

Βασική βιβλιοθήκη, *Κρητική λογοτεχνία,* επιμέλεια Φαιδώνος Κ.Μπουρμπολίδου Δ.Φ., Αθήνα, 1955;

Κορνάρος Β., *Ερωτόκριτος,* επιμέλεια Στυλιανός Αλεξίου, Αθήνα, 1995;

Κορνάρος Β., *Η θυσία του Αβραάμ,* εισαγωγή Αγγέλου Τερζάκη, επιμέλεια Ελένη Τσαντσάνογλου, Αθήνα, 1996;

Ερωφίλη, τραγωδία Γεώργιου Χορτάτση, επιμέλεια Στυλιανός Αλεξίου, Μάρθα Αποσκίτη, Αθήνα, 1987;

Ζήνων, κρητοεπτανισιακή τραγωδία (17ου αιώνα), επιμέλεια Στυλιανός Αλεξίου, Μάρθα Αποσκίτη, Αθήνα,1987;

Φόσκολος Μ. Α., *Φορτουνάτος,* κριτική έκδοση, σημειώσεις, γλωσσάριο Alfred Vincent, Ηρακλείο Κρήτης, 1980;

Μπεργάδης, *Απόκοπος, Η Βοσκοπούλα*, επιμέλεια Στυλιανός Αλεξίου, Αθήνα 1979;

Ροδολίνος, τραγωδία Ιωάννη Ανδρέα Τρωίλου (17ου αιώνα), πρόλογος Στυλιανός Αλεξίου, επιμέλεια Μάρθα Αποσκίτη, Αθήνα, 1987.